ავტორები: იაროსლავა ბაბიჩი, არჩილ ჩაფიჩაძე, ნინო სარიშვილი

საქართველოს ეკონომიკა ვითარდება, მაგრამ მსოფლიოში არსებული კრიზისის გამო 2023 წლის დასაწყისში შიში და სიფრთხილე შეინიშნება



შეჯამება

გლობალური ეკონომიკის მდგომარეობა კვლავ არასტაბილურია. ეს განპირობებულია პანდემიით გამოწვეული ნეგატიური მოვლენებით, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით, ინფლაციის მაღალი მაჩვენებლით და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკით. მიუხედავად იმისა, რომ წლის დასაწყისში გლობალური ეკონომიკური მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელი იყო, ვითარების გაუარესება არის მოსალოდნელი. მართალია, წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნები მოსალოდნელზე მეტ ზრდას აჩვენებენ, თუმცა შესაძლოა 2023 წელს გლობალური ეკონომიკური აქტივობა (ტემპის ზრდა) შენელდეს. მიუხედავად ჩინეთის სწრაფი გახსნისა და აშშ-ში არსებული გაზრდილი მოხმარებისა, მაშინ, როცა ჩინეთში მდგომარეობის აღდგენა არის პროგნოზირებული, მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპმა შესაძლოა დაიწიოს. 2022 წელს დაფიქსირებული 3,4%-დან გლობალური გამოშვების ზრდის მაჩვენებელი 2023 წელს 2,8%-მდე შემცირდება. ეს 2001 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი ზრდის მაჩვენებელია (2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის და COVID-19-ის პანდემიის კრიტიკული ფაზის შემდეგ) (სსფ, აპრილი 2023).

აღნიშნული გლობალური გამოწვევები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიასაც შეეხო. 2023 წელს საქართველოს მეზობელ ქვეყნებში პროგნოზირებულია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ზომიერი ან მცირედი ზრდა: სომხეთში (+5,5 პპ), აზერბაიჯანში (+3 პპ), და თურქეთში (+2,7 პპ). გასაკვირი, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მცირედით გაიზრდება რუსეთის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც (+0,7% პპ). 2022 წელს დაფიქსირებული 4%-იანი ზრდის შემდეგ, მოსალოდნელია, რომ 3,9%-ით გაიზრდება წარმოების მოცულობა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (EMDEs).

საქსტატის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაჩვენებლის უახლესი შეფასების თანახმად, ტურიზმის აღდგენის, მიგრაციის ზრდის, ფინანსური რესურსების შემოდინების და მაღალი სამომხმარებლო მოთხოვნის გამო საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2023 წლის I კვარტალში 7,7%-ს შეადგენს. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ შენარჩუნდება განხორციელებული ინვესტიციების ზრდის დინამიკა. სწორედ ამიტომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი მანამდე არსებული 4%-დან (სებ, თებერვალი 2023) 5%-მდე დააკორექტირა (სებ, მაისი 2023).

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ პროგნოზირებული მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 2023 წლისთვის წლიურ 2,6%-ს შეადგენს (იხ. გრაფიკი 1) (მაისი, 2023). სავარაუდოდ, ეს მაჩვენებლები ამ ეტაპზე სათანადოდ შეფასებული არ არის არსებულ მოდელში. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს მონაცემებში არ მოიძებნება მიგრანტების მასშტაბური შემოდინების ანალოგი წარსულში.

ინფლაცია

საქსტატის ბოლო მონაცემების თანახმად, სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) წლიურმა ინფლაციამ 2023 წლის I კვარტალში 7,6% შეადგინა, რაც 4,6 %-ით მეტია მიზნობრივ 3%-ზე. საერთაშორისო ფასებზე რუსეთ-უკრაინის ომის ნეგატიური გავლენის ეტაპობრივმა შესუსტებამ, საქართველოში რუსი მიგრანტების გაზრდილმა შემოდინებამ და გამკაცრებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ ლარის კურსის გამყარება და ინფლაციის წნეხის შემცირება გამოიწვია. უცხოელი ტურისტების მხრიდან მომსახურებებზე გაზრდილმა მოთხოვნამ ქირავნობისა და HORECA სექტორში არსებული ფასების ზრდა გამოიწვია, რამაც ხელი შეუწყო კვარტლური ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას. გაიზარდა სურსათის ფასებიც (13,6%-ით) და ინფლაციის მაჩვენებლის 4,5 პპ შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებლის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომუნალური გადასახადების, წყლის, ელექტროენერგიის, გაზისა და სხვა საწვავის ფასების ზრდამ (+12,2%), რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 1,1 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. საცხოვრებელი ფართების ქირავნობის ფასი 37,9%-ით გაიზარდა და ინფლაციის მაჩვენებლის 0,7% შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ დაფიქსირდა სამომხმარებლო პროდუქტების ფასების კლების ტენდენცია, შრომის ანაზღაურების ზრდის გამო მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი შედარებით ნელი ტემპით განაგრძობს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას (სებ, მაისი 2023). ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის უახლესი ანგარიშის მიხედვით

(სებ, მაისი 2023), მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 2023 წელს მიზნობრივ 3%-ს მიუახლოვდება.

საგარეო სექტორები: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2023 წლის I კვარტალში საქართველოს საგარეო ვაჭრობა წლიური 28,9%-ით გაიზარდა. ექსპორტის და იმპორტის ზრდის მაჩვენებლებმა 2019 წლის I კვარტალში პანდემიამდე არსებულ მაჩვენებლებს გადააჭარბა (საქსტატი, 2023). 2022 წლის IV კვარტალში საგრძნობლად შემცირების შემდეგ, სავაჭრო ბალანსი გაიზარდა და 2023 წლის I კვარტალში 2,094 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

გასულ წელთან შედარებით, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიური 24,7%-ით გაიზარდა (საქსტატი, 2023). ამგვარი ზრდა, უმეტესწილად, ექსპორტირებული საქონლის მოცულობის ზრდით და ამგვარი საქონლის ფასების მცირედით შემცირებით იყო განპირობებული (სებ, მაისი 2023). ზრდა, უმეტესწილად, განპირობებული იყო სომხეთში (+12,1 პპ) ყაზახეთში (+8,4 პპ), ყირგიზეთში (წლიური +7,7 პპ), რუსეთსა (+5,7 პპ) და აზერბაიჯანში (+4,7 პპ) განხორციელებული ექსპორტით. მეორე მხრივ, ჩინეთში (-7,4 პპ), აშშ-სა (-5,8 პპ) და უკრაინაში (-2,3 პპ) განხორციელებული ექსპორტის შემცირებამ უარყოფითი გავლენა იქონია ექსპორტის ზრდის მაჩვენებელზე.

I კვარტალში ექსპორტის ზრდა უმეტესწილად განპირობებული იყო სამომხმარებლო საქონლის ფასების ზრდით (სებ, მაისი 2023), რასაც საინვესტიციო საქონლის ექსპორტის ზრდა მოყვა. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდა განპირობებული იყო ავტომანქანების გაზრდილი რეექსპორტით (ძირითადად სომხეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში). ავტომობილების ექსპორტი 333%-ით გაიზარდა და საქონლის ექსპორტის ზოგადი მაჩვენებლის წლიური +27% შეადგინა (საქსტატი, 2023). ექსპორტის ზრდაც, უმეტესწილად, ალკოჰოლური სასმელების (+1,43 პპ) და სიგარეტების (სიგარები, მანილური სიგარები, სიგარილოები და სიგარეტები) (+1,38 პპ) გაზრდილი ექსპორტით იყო განპირობებული. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, შუალედური საქონლის ექსპორტის შემცირება აშშ-სა და იტალიაში – ფეროშენადნობებების, ჩინეთში – სპილენძის მადნეულის და კონცენტრატების, ხოლო უკრაინაში – ქიმიური სასუქების ექსპორტის შემცირებით იყო განპირობებული (სებ, მაისი 2023). საინვესტიციო საქონლის შემთხვევაში, ექსპორტის მთლიანი მაჩვენებლის ზრდაში უმნიშვნელო წვლილი შეიტანა 10 და მეტი ადამიანისთვის განკუთვნილი ავტომობილების რეექსპორტმა (+1,71 პპ) და მონაცემების ავტომატური დამუშავების მოწყობილობების ექსპორტმა (+1,32 პპ).

იმპორტი წლიური 30,7%-ით გაიზარდა (საქსტატი, 2023), რაც გამოწვეული იყო გაზრდილი შიდა მოთხოვნით. იმპორტის ზრდა, აგრეთვე, მნიშვნელოვნად იყო განპირობებული აშშ-დან გაზრდილი იმპორტით (წლიური +8,9 პპ), რომლის კონტრიბუცია აღემატება ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი იმპორტის კონტრიბუციას (წლიური +8,8 პპ). კვლავ მაღალია რუსეთიდან განხორციელებული იმპორტის მაჩვენებელი (მთლიანი იმპორტის წლიური ზრდის 8 პპ) და

მცირედით ჩამორჩება აშშ-დან და ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტის მაჩვენებელს. რეგიონის ქვეყნებიდან მხოლოდ თურქეთიდან განხორციელებულმა იმპორტმა შეიტანა საგრძნობი წვლილი იმპორტის მთლიანი მაჩვენებლის ზრდაში (+4,1 პპ). უმნიშვნელო იყო სომხეთიდან განხორციელებული იმპორტი, აზერბაიჯანიდან განხორციელებული იმპორტი კი 1,2 %-ით შემცირდა.

იმპორტის ზრდის მთლიან მაჩვენებელში მთავარი წვლილი შეიტანა სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტმა. სამომხმარებლო საქონლის იმპორტის მაჩვენებლის ზრდა უმეტესწილად მსუბუქი ავტომობილების (+17,2 პპ), მედიკამენტების (+1,09 პპ) და სატელეფონო აპარატების (+0,9 პპ) იმპორტით იყო გამოწვეული. იმპორტის მთლიანი მაჩვენებლის ზრდა უმეტესწილად ნავთობის აირების და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადების (+1,5 პპ), ქვანახშირის (+0,38 პპ) და რკინის/ფოლადის ნაწილების (+0,37 პპ) იმპორტით იყო განპირობებული (საქსტატი, 2023).

უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, გაიზარდა საერთაშორისო ვიზიტორთა საერთო რაოდენობა. 2023 წლის III კვარტალში საქართველოში 1,066 მლნ საერთაშორისო ვიზიტი დაფიქსირდა, რაც 2022 წლის იმავე პერიოდში რეგისტრირებული საერთაშორისო ვიზიტების მთლიან რაოდენობაზე 109,6%-ით მეტია (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2023). საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი რუსეთიდან (+257,7%), თურქეთიდან (+108,5%) და სომხეთიდან (+209,6%) შემოვიდა. საერთაშორისო ვიზიტორების გაზრდილმა რაოდენობამ დადებითი გავლენა იქონია საერთაშორისო მოგზაურების მიერ გენერირებულ შემოსავალზეც და 795,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2022 წლის იმავე პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე ორჯერ მეტია (სებ, 2023).

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის თანახმად, 130,3%-ით გაიზარდა საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების რაოდენობაც და 2023 წლის I კვარტალში 1,26 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რუსეთიდან საქართველოში მიგრანტების გაზრდილი შემოდინების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა რუსეთიდან შემოსული სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობაც (851,3%) და ფულადი გზავნილების კვარტლური ზრდის მაჩვენებლის 111 პროცენტი შეადგინა. გაზრდილი ფულადი სახსრების შემოდინება უმეტესწილად განპირობებული იყო შემოდინებით შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ (+41,8%) – 5,1 პპ, იტალია (+19,1%) – 3,6 პპ, გერმანია (+47,6%) – 2,7 პპ, ყაზახეთი (+39,8%) – 2 პპ, ყირგიზეთი (+96,5%) – 1.5 პპ და ისრაელი (+13,6%) – 1.1 პპ. მეორე მხრივ, შემცირდა საქართველოში უკრაინიდან (98,6%-ით) და აზერბაიჯანიდან (21,4%-ით) განხორციელებული ფულადი გზავნილები.

საქსტატის მონაცემების თანახმად, 2023 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 496,6 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც თითქმის 13,7%-ით ნაკლებია 2022 წლის I კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმეტესობა განხორციელდა დამამუშავებელი მრეწველობის (45,6%), სავაჭრო (18,3%), სატრანსპორტო (8,7%), ინფორმაციისა და კომუნიკაციების (8,5%), ენერგეტიკის (7,9%), სამშენებლო (3,5%), ხელოვნების, გართობისა და დასვენების (3.2%) სექტორებში. საქართველოში

ინვესტიციების უმრავლესობა ნიდერლანდებიდან (239,6 მლნ აშშ დოლარი) განხორციელდა. ინვესტიციები განხორციელდა აგრეთვე იაპონიიდან (63,2 მლნ აშშ დოლარი), აშშ-დან (54,7 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (47 მლნ აშშ დოლარი) და რუსეთიდან (28,2 მლნ აშშ დოლარი).

საჯარო ფინანსები

საერთო ბიუჯეტში მთლიანმა შემოსავალმა 5,1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 12,4%-ით მეტია. აღნიშნული ბიუჯეტში გადარიცხული გადასახადების ზრდითაა განპირობებული (+12,6% პპ). ზრდა მნიშვნელოვნად იყო განპირობებული საქონელზე და მომსახურებებზე დაწესებული გადასახადებით (+23,8%), საშემოსავლო, მოგების და კაპიტალის გადასახადებით (16,2%) ([საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023](#)).

მიმდინარე სამთავრობო ხარჯები საანგარიშო კვარტალში 10,5%-ით გაიზარდა და 4,2 მლრდ ლარი შეადგინა. 15,4%-ით შემცირდა გრანტებთან დაკავშირებული ხარჯები. გაიზარდა ხარჯები შემდეგ კატეგორიებში: სუბსიდიები (+31,5% პპ), საქონლით და მომსახურებებით სარგებლობა (+7,7% პპ), დაქირავებულთა ანაზღაურება (+18,4% პპ) და საპროცენტო ხარჯები (+72,2% პპ). გარდა ამისა, წინა კვარტალში 15,1%-ით გაიზარდა არაფინანსური აქტივების წმინდა მიღება და 742.2 მლნ ლარი შეადგინა. 2023 წლის I კვარტალში ბიუჯეტის პროფიციტი დაფიქსირდა და 98.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთავრობის სავალო ვალდებულებები მანამდე არსებული 28.5 მლრდ ლარიდან 2,6%-ით შემცირდა და 27,7 მლრდ ლარი შეადგინა. ეს უმეტესწილად საგარეო ვალის შემცირებით იყო განპირობებული (-3.8%). საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში 74,2% იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ეკონომიკა დიდწილადაა დამოკიდებული ვალუტის კურსის ცვლილებაზე ([საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023](#)).